№ 15. 20 აპრილი (2 მაისი) 1870 20 აპრილი. (2 მაისი) № 15.

გაზეთის ფასი

თფილისში და გარეშე ადგილებში: გაგზავნით — გაუგზავნელათ:
წლისა — 7 მან. — — — 6 მან.
ნახევარის წლისა — 4 — — — — 3 — 50 კ.
სამის თვისა — 2 — 50 კ. — — — 2
ერთის თვისა — 1 — — — — „ — 75 კ.
ცალკე ერთის ნომრისა — — — „ — 15 კ.

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება ქართულ და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივს ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ., ასო მთავრულებით ასოზე ½ კაპ.

„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით.

# დროება

ხელის-მოწერა მიიღება:

თფილისში — „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ბებუთოვის სახლში.
თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.
ქუთაისში — ლ. ლ ო ლ უ ა ს თ ა ნ — პოლიციის ქუჩაზე, მელქონ პალიევის სახლში.

ავტორს ორი თვის განმავლობაში შეუძლია უკანვე მიიღოს თავის ხარჯით სტატია, რომელიც გამოგზავნილი იყო „დროებაში“ დასაბეჭდათ, მაგრამ, რომლისამე მიზეზისა გამო, არ დაიბეჭდა.
თუ აუცილებელი საჭიროება მოითხოვს, რედაქცია შეამოკლებს გამოგზავნილს სტატიასა და ისე დაბეჭდს გაზეთში.—

## საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

წელიწადი მეხუთე.

### შინაარსი:

მართებლობის განკარგულება.—შინაგანი ამბები (ახალციხიდან — ფოთიდან)—რუსეთის ამბები (ლიფლანდიის აზნაურობის ადრესი)—პოლიტიკა (საფრანგეთი—იტალია—ესპანია—ავსტრია—ინგლისი—ამერიკის შეერთებული შტატები—ოსმალეთი —პიერ ბონაპარტეს პროცესსი)—განცხადება. ფელეტონი: ძველი ჩინოვნიკის გულის ტკივილი.—

ბედნიერ დღეების გამოისობით ეს ნომერი ხუთშაბათის ნაცვლად ორშაბათს გამოდის.

### მართებლობის განკარგულება.

სახელმწიფო რჩევაში განიხილეს დიდი მთავრის ნამესტნიკის წერილი კავკასიის აქეთა მხრეს დანიშვნაზე გამომძიებლებისა (სლედოვატელებისა), თფილისის ოლქის სასამართლოს შტატის დამატებაზე და მეოთხე მომრიგებელი მოსამართლის ნაწილის გამართვაზე. ეს აზრი ხელმწიფე იმპერატორმა დაამტკიცა თებერვლის 24 ამ წელსა.

ამ სახელმწიფო რჩევის აზრით, თფილისში ინიშნება მეოთხე მომრიგებელი მოსამართლე. თფილისის ოლქის სასამართლოში მოემატებიან მოთანამდებენი. აგრეთვე განსაკუთრებით ადრეს საქმეებისათვის დაინიშნებიან გამომძიებელნი ოლქის სასამართლოებში: თფილისის, ქუთაისის, ელისავეტპოლის, ბაქოს და ერევნისა, თითოში ორ ორი. ამასთანავე თითო გამომძიებელთან უნდა დაინიშნოს თითო მთარგმნელი. მომრიგებელ მოსამართლეების კანცელარიისა და მოთანამდებეთ გასამრჯელოებლათ დაინიშნება მუდამ წლისათვის 59,000 მანეთი. ოლქის სასამართლოებს მიეცემათ უფლება როდესაც საჭიროა, ნამესტნიკის ნებართვით, ერთის მომრიგებელი მოსამართლის ნაწილიდგან გადაიყვანონ მეორეში მოხელენი და გადაიტანონ საკანცელარიო ხარჯი.

### შინაგანი ცნობები.

ახალციხიდამ იწერებიან „კავკაზში“ რომ იქ დაფუძნებულა საზოგადო კრება, რომელშიაც ასი კაცი წევრათ ჩაწერილა. სახლი დაუჭერიათ, დაუბარებიათ რამდენიმე გაზეთი, ბილიარდი დაუდგამთ და როგორც იწერება კორრესპონდენტი „ერთის სიტყვით ყველა რაც საჭიროა, გაიმართაო.“ ჩვენს პატარა ქალაქებში მცირეოდენი საზოგადოების შედგენა ყოველთვის კარგ საქმეთ მიგვაჩნია. ეს პირველი ნაბიჯია, რომ საზოგადოებაში დაარსდეს სხვა და სხვა პირებ შორის ერთობა, ჰაზრების გადაცემ გადმოცემა, დაახლოვება. ეს კარგი და სასარგებლო რამ არის, თუ ნამდვილი გონივრული ინტერესიც შემოერია. მაგალითად ამისთანა საზოგადოებას შეუძლია ყურადღება მიაქციოს ღარიბ ყმაწვილების სწავლის შემწეობას, შკოლის გამართვაში დახმარებას, კარგი ბიბლიოთეკის გამართვას და სხვა. მაგრამ ამ საზოგადოებაში თუ ქაღალდის თამაშობისა და ბილიარდის საქმეს გამოუდგებიან, არაფისთვის სასარგებლო არა გამოდნება რა. ამაზე ყველა გონიერი წევრი საზოგადოებისა დაგვეთანხმება. საფუძვლათ ჩვენ შეგვიძლია ავიღოთ სწავლისთვის დახმარება და შემწეობა: სწავლა მდიდარშიც და ღარიბშიც, სწავლა შკოლაში და შინ ოჯახობაში, სწავლა! ყმაწვილისა და ჩვენ მამებისა, ყოველივე რაც სწავლას შეეხება და ყველასთვის სწავლა. დავიხსომოთ, ღრმათ ჩავიბეჭდოთ გულში და ვეცადოთ სწავლა შევიძინოთ.

*

ამას წინათ ფოთში გამართულ ქალების შკოლის ამბავი იყო „დროებაში“ და იმასა ვჩიოდით, რომ კორრესპონდენტი არც შკოლის პროგრამმას გვაცოდინებს, არც შკოლის გამმართველის სახელს. ამ უკანასკნელ „კავკაზის“ ნომერში არის ამავე შკოლაზე კორრესპონდენცია ფოთიდგან. აქედამ გვესმის, რომ ქალების პანსიონი და სასწავლებელი გაუმართავსთ სხვა და სხვა პირთა შემწეობით ციბულსკის ქალსა, რომელიც ოდესაში ასწავლიდაო სახლებში ყმაწვილებსა. „ეს სასწავლებელი საზოგადოების შემწეობითა არსებობს კვლავაც გაისაძლისებს კონცერტებითა, სხვა ღონისძიებითა. უკანასკნელ ჟამს კონცერტიდგან საკმაოთ ფული შეკრებილა—107 მან., რომელიც ფოთის მცირე საზოგადოების დაგვარათ კარგი შეძოსავალია. ამას გარდა ვაჭრებიც ბევრის საქონლით შესწევნიან (ფულს არ იღებენო) ასე რომ მარტო მოტანილის საქონლით ერთი დუქანი გაიმართებოდაო, და ბოლოს მომტანთ უარსაც ეუბნებოდნენო. ერთი ვაჭარი გულ ნაკლული შეიქნა და ქალაქის უფროსთან წავიდა საჩივლელათა, რომ ყველას შესაწევარი მიიღეს და იმას კი გულთ დააკლეს, ამისათვის სთხოვა რომ გული მოუმადრიელონ და ნება მისცენ 14 ყმაწვილს ფორმის ტანისამოსი თავისის ხარჯით ჩააცვას. ეს თხოვნა არ აუსრულეს. მაგრამ ეს გარემოება ამტკიცებს ფოთის მოქალაქეთ გულ მხურვალე მონაწილეობას შკოლის საქმეში. გრაფინა ლევაშოვისაც შეეწია წიგნებით და სხვა სასწავლო ნივთებით.“

ამას მოგვითხრობს „კავკაზის“ კორესპონდენტი, და ჩვენ უნდა ვერწმუნოთ იმის ნაამბობს, თუმცა ჩვენ თვითონ სულ წინაღმდეგი ცნობაები მოგვდის ამ სასწავლებელზე და მისს გამმართველზე.—ამას გარდა, ჩვენ მაინც და მაინც არ ვიცით რას ასწავლიან ამ სასწავლებელში. საკვირველია ეს უპირველესი საგანი როგორ ავიწყდებათ.

---

# ფელეტონი.

## ძველი ჩინოვნიკის გულის-ტკივილი.

Цეცხლი მოედოს, ვინც რომ ენდოს ამ ცრუ ახალ დროს!...

აღდგომის წინ კვირაში თფილისისკენ გამომგზავრება შემემთხვა ფოშტის კარეტით. ფოშტაში კარეტის გვერდით დამხვდა ორი მგზავროთ გამოწყობილი, რუსულ ტანისამოსიანი კაცი: ერთი დაბალ-დაბალი, ფერმკრთალი და წელში მოხრილი ოცდა თხუთმეტი წლის ჩინოვნიკი, რომელსაც ქუდზე ეტყობოდა, რომ ის მასწავლებელი იყო; მეორე მოზდილი, მსხვილი, რგვლათ ჩასუქებული ნაჩინოვნიკევი. ორივეს ბალიშები და ბანები გარეშემო ქონდათ შემოწყობილი. მგზავრო ბოლჩებში ზოგან პური სჩანდა, და ზოგან შამაიას კუდები; ერთ ალაგას, ლორის კანჭსაც ამოეყო თავი. იამშჩიკის ადგილის გვერდით იჯდა ერთი სომეხი. ჩემ თანამომგზავრეებს გაცხელებული მუსაიფი ქონდათ გაბმული: მსხვილი და მსუქანი ნაჩინოვნიკევი პოლშური გამოთქმით, მოცინარე პირისახით, და ზეთიანი თვალებით აგონებდა დამჭკნარ ჩინოვნიკს რუსეთის სხვა და სხვა ქალაქების ამბავს და გარემოებაებს; მისი მოსაუბრე კი ოწუენით, დარდიანათ თავს აქნევდა და წამ-წამს პასუხის მაგიერათ კრუტუნობდა: „какое сравненіе!“

— მაგალითად ვთქვათ ვარშავში,—აგრძელებდა მსუქანი მგზავრი, და თან აბრეშუმის ცხვირსახოცით პირზე ოფლს იხოცდა, თუმცა დღეს წვიმისგან დედამიწა იქცეოდა,— მაგალითად ვთქვათ ვარშავში: იქ ერთ ზლოტ ნახევრათ (22 კაპეიკ ნახევარი) მშვენიერ სადილს იშოვის კაცი პირველ სასტუმროში. წარმოიდგინეთ!—აქ მოლაპარაკემ თვალები ჩემსკენ წამოიღო—სამი თავი მშვენიერად შემზადებული საჭმელი, თან ერთი თავი ტკბილი რამე და ერთი ფინჯანი ყავა—სულ ოცდა ორ კაპეიკ ნახევრათ! აბა აქ მანეთათ იშოვნით თქვენ ამისთანა სადილს!

მე დათანხმებას ვაპირებდი, დამჭკნარ მასწავლებელს რომ არ გადაეერჩინე: უშველოს ღმერთმა, როგორც მსუქანმა მგზავრმა თავისი სიტყვები გაათავა და მე გახარებულათ დამიწყო ყურება, თითქო მეუბნებოდა: ჰე, დაგაბი თუ არაო, მასწავლებელმა ახალ დაჭერილ თევზივით ნერწყვის ყლაპა დაიწყო, მერე პირი გააღო და როგორც იყო სთქვა თავისი:

— Да, да, какое сравненіе!...

— არ დაგავიწყდეთ,—ხელახლავ დაიწყო მსუქანმა,—რანაირ სასტუმროშია ამ გვარი სადილები? პირველ სასტუმროში, პირველ ქუჩაზე: შიგ რომ შეხვიდეთ ერთი ვისიმე სასახლე გეგონებათ,—ღმერთმანი! კიბე მარმარილოსა,—ზედ სულ ცხელი ქვეყნების ძვირფასი მცენარეებია ორ-მწკრივათ დარაზმული; შიგნით რომ შეხვალთ, ოთახებში, ხავერდი, ვარაყი, აბრეშუმი, ბროლი და ძვირფასი ავეჯეულობა სწორეთ თვალს აგიჭრის, და თავბრუს დაგახვევს—ზეციერს ღმერთს გეფიცებით! ეხლა მოსამსახურები რომ ნახოთ, მაშინ ხომ სულ გაგიჟდებით,—პატიოსან სიტყვას გაძლევთ, რომ სწორეთ გაგიჟდებით! წარმოიდგინეთ: მშვენიერი, ახალგაზდა, სულ თხუთმეტ-თექვსმეტი წლის ქალიშვილები, მშვენიერ, სუფთა ტანისამოსში, მშვენიერი ოვალებით...აბაზ ნახევარ შაურათ,—ღმერთს გეფიცებით,—მარტო მათი შეხედვა ღირს! საჭმელს რომ მოგართმევენ და ნაზათ, ღიმილით, წინ დაგიდგამენ—გეუბნებით როგორც პატიოსანი კაცი—დადნებით ყინულსავით, დადნებით...ხანდისხან...ხე-ხე-ხე-ხე!...

ამ გვარ ლაპარაკში გაატარა ამ კაცმა მთელი საათი, სანამ ჩვენ ცხენებს შეაბამდენ და გამოგვისტუმრებდნენ. ამ ერთი საათის განმავლობაში ჩვენ ყურს ქალების, ქვეშაგებელის, სასტუმროების და საჭმელების აწერის მეტი არა ჩაწვეთებიარა; და ამ საგანზე გაუწყვეტელი მუსაიფი, მერე გაქონილი პირისახით, ტყვიის ფერი თვალებით და თან ტუჩების წკლაპა-წკლუპით, .... ყველიერშიაც მოსწყინდება და შეეზიზღება კაცს. რაქნა, საიდგან გამოსულა ეს კაცი, ვფიქრობდი მე, როცა ის ხან ვარშავის, და ხან კიევის მოსამსახურე ქალების მშვენიერებაებს ასწერდა და თავისი სიტყვებით ტკბებოდა.—ნეტავი თუ მოსვლია მაგას როდისმე თავში აზრი, რომ კაცის ცხოვრება მარტო სმა-ჭამაში და ძილში არ უნდა მდგომარეობდეს?

ამ აზრმა ცოტათი არ იყოს დამაახლოვა ჩემ მსუქან მგზავრთან, და როცა ჩვენ კარეტაში ჩავჯექით, და იმან ხელახლავ დაიწყო თავისი მოთხრობაები, მე გაჩუმების და თავის ქნევის მაგიერათ—როგორც იქამდის ვშვრებოდი—თვითონ დაუწყე ლაპარაკი, და ვკითხე რა საქმეებისთვის ბრძანდებოდით პოლშაში მეთქი.

— მე, ჩემო მოწყალეო ხელმწიფევ, თერთმეტი წელიწადი ვემსახურე პოლშაში, სხვა და სხვა თანამდებობაში, ხალისიანათ მიპასუხა იმან, თითქო მადლობას მეუბნებოდა, რომ ლაპარაკის მიზეზი მივეცი. ჩვიდმეტი წელიწადი მიმსახურნია რუსეთში---სულ ოცდა რვა წელიწადი...ეხლა აქ მოვსულვარ, გამიგონია თქვენ მხარეში იაფათ აძლევენ ჩერქეზების მიწასო, საცალა აბხაზეთში, სოხუმის ახლოს; მინდა, რამე აქ ვიშოვო...მართლა კარგი მიწებია? სასარგებლოა!

მე ჯერ პირი არ გამეღო პასუხის მისაგებლათ, ის კი ხელ-ახლავ მოჰყვა:

— ასეთია ეს დრო, .... ოცდა რვა წელიწადი ვემსახურე, ეხლა უნდა მოვისვენო, დაღალული ტანი დავაბინაო...რა გაეწყობა. მართალი მოგახსენოთ, თქვენი ქვეყანა მშვენიერი ქვეყანა კი არის, ეს ოხერი მთები და ძვირობა რომ არ გვაწუხებდეს...რა მშვენიერი პირუტყვებია აქ, რა მინდვრები...არც ისაა ტყუილი ნათქვამი, რომ ქართველი ქალებისთანა ლამაზი, ღმერთს ცის ქვეშ ქალი არ გაუჩენიაო...

რაკი ის ამ საგანს დაადგა, ვინღა დააჩუმებდა? ქუთაისიდან უვირილამდი ჩვენ მის პირიდგან ზუგდიდელი სულგუნის, ქალიშვილების და ღვინის ქების მეტი არა გაგვიგონია რა.

უვირილაზე რომ მივედით, საღამო დრო იყო, და ფოჩტის წესდებისამებრ, ჩვენ იქ ერთი საათი უნდა დავრჩენილვიყავით; რასაკვირველია, ჩვენ მაშინვე სამოვარი მოვითხოვეთ, და ჩაის სმას მივყავით ხელი; ჩაიზე სამხარიც წავაბით.

დამჭკნარმა მასწავლებელმა ამოიღო თეთრი

## რუსეთის ამბები.

### ლიფლანდიის აზნაურობის ადრესი ხელმწიფე იმპერატორთან.

პეტრე დიდმა იარაღით დაიპყრო და სრულებით დასცა ლიფლანდიის სადერცოლო, მაგრამ საჭიროთ არ სთვლიდა შეერთებია ის თავის ვრცელ იმპერიასთან. მისმა დიდებულებამ დიდმა მეფემ ამჯობინა მიეცა ქვეყნისათვის, რომელიც სრულებით იმის ხელში იყო, კაპიტულაცია, ესე იგი სახელმწიფო პირობების შეკვრა, რომლის ძალით ეს ქვეყანა თავის ნებით და განსაზღვრული პირობებით დაემორჩილდა მეფის სკიპტრას უკუნითი უკუნისამდე და მისი იმპერატორებითი დიდებულებაც თავის მხრით დაჰპირდა ამა პირობების სამუდამოთ შენახვას. ეს პირობები იყო მოხსენებული 1710 წლის კაპიტულაციაში და ამავე წელს შემდგარს კაპიტულაციის პირობის წერილში; ნიშტადტის შერიგება რომ მოხდა, იმაშიაც კი იყო დამოწმებული და როგორც დოკუმენტები, ისე ჩაერთვნენ რუსეთის იმპერიის კანონების სრულ კრებას; რუსეთის ყველა ხელმწიფები საეროთ სცნობდენ ამ დოკუმენტებს, და ლიფლანდიის დებულება და ძირითადი სახელმწიფო უფლებაც იმაში იმყოფება; ამჟამად მხოლოდ იმაზეა დაფუძნებული სახელმწიფო დამოკიდებულება ლიფლანდიისა და რუსეთს შუა.

წარსულს საუკუნეში რამდენჯერმე მოინდომეს ამა წესდების საფუძვლის დარღვევა, მაგრამ ყოველ ამისთანა შემთხვევაში მეფის წყალობას და სიმართლეს მიემართავდით და ხელმწიფე უარს ყოფდა ჩვენი უფლების დარღვევასა, რომელიც იმჟამადმდე ცნობილ იყო ყოვლად უმოწყალესად; 1783 წელს მთავრობამ რომ საბოლოვოთ გადასწყვიტა იმის დარღვევა ნამესტნიკობის დაწესებით ჩვენს ქვეყანაში, 1796 წელს საუკუნეოთ ხსენებულმა იმპერატორმა პავლემ მოშალა ეს განკარგულება, სცნო წესდების ძალა და ისევ აღადგინა უწინდელი დაწყობილება მხარისა.

„რადგან უმაღლესად დამტკიცებული ძირითადი სიმართლე ყოველთვის სწორად იყო დაცული, ეს მხარე ისეთს წარმატებაში შევიდა, რომ უწინდელს (პოლშურს და შვეციის) გამგეობაში არას მოსწრებიარა ამისთანას; ამისთვის რომ ზემოხსენებული მთავრობების წარმომადგენილნი მოცემულს სიმართლეს არ ღევევდნენ ხოლმე და ამისგამო არც კანონები იყვნენ პატივცემაში.

„ლიფლანდიის დაწესებულებამ მიანიჭა ამა ქვეყნის წარმომადგენელ წოდებასა მონაწილეობა ადგილობრივი კანონების შედგენაში და როდესაც მთავრობა ამა ქვეყნისთვის სასარგებლოთ სთვლიდა ამისთანა მონაწილეობას, თავის მხრით წოდებანიც ყოველთვის წინდაწინვე მიხვდებოდენ ხოლმე, რასაც ჩვენი მხარე საჭიროებდა და ითხოვდა: მრავალნი მეტად კეთილის დამამყარებელნი ადგილობრივნი დაწესებულებანი არიან ამის მოწამე.

ამ უკანასკნელ ათის წლის განმავლობაში ლიფლანდიის სწორი წესიერება და წარმატება თავის გზას გადასცილდა და, თუ ლიფლანდიის აზნაურობას არა ჰსურს თავისი სინიდისი შეუწყნარებლათ დაამძიმოს, უნდა მიჰმართოს თავის უზენაესს და ყოვლად მოწყალეს ხელმწიფეს, და თქვენი იმპერატორებითი დიდებულების წინაშე უნდა წარმოსთქვას თავისი აზრი ისეთი წმიდის გულით სისწორით და დაუფარავათ, როგორც მეტად ერთგულს და მაგრათ დარწმუნებულს თავის სიმართლეზე ქვეშევრდომს შეეფერება. ლიფლანდიის უფლება იმ სახით, როგორც აქამომდე არსებობს, არა ვითარი სახელმწიფო კანონით არ შეცვლილა და ზოგიერთმა მთავრობის განკარგულებამ კი დაარღვია ადგილობრივი წესების მიუხედველათ.

„1, 1710 წლის კაპიტულაციაში, 1-ლს მუხლში (სრული კანონების კრება) 1721 წლის ნიშტადტის შერიგების წერილში 10-ს მუხლში როგორც სწერია, ლიფლანდიის სახარებითი ლუტერანის ეკკლესიას მიეცა სრული თავისუფლება და მართმადიდებელს ეკკლესიას თანასწორობა სახარებითი ლუტერანის ეკკლესიასთან და ეს დაწესება არამც თუ შეეფერებოდა მაშინდელს დროს, არამედ ამ ჟამის მოთხოვნილებას კიდევ უფრო სრულათ ეთანხმება. სახარებითი—ლუტერანის ეკკლესიისა და იმის აღმსარებელი ერის ამ ნაირი მდგომარეობა კიდევ სხვა რიგათ იმითი დამტკიცდა, რომ საზოგადო ეკკლესიის წესდება რუსეთის პროტესტანტებისათვის (Св. Зак. т. XI) გამოცხადდა საკუთრად ლიფლანდიისთვის, პირველი ათი მუხლის მოუხსენებლათ, რომლებშიაც პირდაპირ ირღვევა სახარებითი—ლუთერანის ეკკლესიის უფლება. მაგრამ თავისუფალი აღსარება სარწმუნოებისა მოშალა კანონმა, რომელიც მძიმეთ დასჯას ემუქრება იმას, ვინც თავის ნებით აღირჩევს სხვა სარწმუნოებას; ეგრეთვე სახარებითი ლუტერანის ეკკლესიის დამკვიდრებული თანასწორობა მართლ მადიდებელ ეკკლესიასთან დაირღვა იმითი, რომ სამოქალაქო გამგეობამ შეუფერებელ მდგომარეობაში ჩააყენა ლიფლანდიაში ლუტერანის ეკკლესია, იმ საბუთის ძალით, რომ მეთერთმეტე ტომის ძალით დაწესებულებანი, რომელნიც შეეხებიან ლუთერანის საეკკლესიო საქმეს, ნამდვილნი და გამოცხადებულნი არ არიანო.

2) კაპიტულაციის მეთერთმეტე მუხლით და იმის საბუთად გამხდარი სიგიზმუნდ-ავგუსტის წყალობის წერილის მეხუთე მუხლით, და აგრეთვე 1728 წლის ნაკაზით გუბერნიებზე ლიფლანდიაში დამტკიცდა ერთნაირი დაწყობილება სასამართლოებისა, სულ ერთია ვისაც უნდა დაენიშნა მოსამსახურე პირები, ან ვისგანაც უნდა ამორჩეულ იყო; ხოლო კაპიტულაციის მეექვსე მუხლით და სიგიზმუნდ-ავგუსტის წყალობის წერილის მეოთხე მუხლით ჩვენ ქვეყანას უნდა ჰქონოდა არამცთუ ნემეცური საქმის წარმოება, არამედ მთელი მიწერ-მოწერა მთავრობისა, იმათში უმთავრესი სამმართველოისაც უნდა წარმოებულ იყო და გამოცემულიყო ნემეცურ ენაზე.

3) ბოლოს 1845 წლის პირველი ივლის... უკაზის მეხუთე მუხ[illegible] და სამაზრო უფლ[illegible] ბულია: „სამაზრო უფლებით, როგორც მ... ლი კანონების კრებით, კი არ გაუქმდება... ლა და მნიშვნელობა არსებული კანონებ... არამედ იმათ ეძლევათ ერთნაირი წყობა... რიგი და თუ ვინიცობაა სამაზრო უფლ... შესახებ კანონის აზრი ცხადი არ იქნა, ან... რამე მოეკლო, ან სრული არ იქნა, და... ნილი წესი კანონის განსამარტებლათ და... სამატებლათ დარჩება იგივე, რომელიც წი... ყოფილა". ამ უფლების წინაალმდეგ, რო... ლიც დამტკიცდა 1855 წლის 18 სეკტემბ... მმართველი სენატის უკაზის ძალით, მე... მუხლი სამაზრო უფლების შესავლისა. ახ... ლია ამ გვარათ, ვითომც ყველა კანონ... რომელნიც იმპერიისთვის გამოიცემიან, ლ... ლანდიისთვისაც უნდა იყონო, გარდა იმ შ... თხვევისა, როდესაც უმაღლესი მთავრობა... ხმით იტყვის, რომ ამა და ამ კანონის ხმარ... ბა არ შეიძლებაო საქმეში და როდესაც... აზრი დამტკიცდება მმართველი სენატისაგა... თანახმად კანონის კრების პირველი ტომ... პირველი ნაწილის 75 მუხლისა. ამითი არა... თუ დაირღვა წოდების უფლება კანონებ... გამოცემაში, არამედ ადგილობრივს კანონ... დებაში წარმატებაც მოუხერხებელი შეიქ...

ამის შემდეგ ყოვლად უქვეშევრდომ... თხოვნაა იმაზე, რომ სამი დეპუტატების... მიიღონ დაწვრილებით შედგენილი მოხს... ბითი წერილი. (Докладная записка) შემ... ადრესი ასე თავდება:

„თქვენო იმპერატორებითო დიდებულებ... ლიფლანდიის აზნაურობა დიდხანს ებრძო... და დიდს მოსაზრებაში იყო, ვიდრე განიზ... ხავდა რომ თქვენ დიდებულებამდის მო... წევინა ეხლანდელი მდგომარეობა მხარი... იმას არ შეეძლო ასე არ მოქცეულიყო, ... უნდოდა, რომ არ დაჰკარგოდა ყოვლ... მოწყალე თქვენი დიდებულების ყურად... ბა, ერთგულ ქვეშევრდომობით გრძნობ... და მაგრათ დაფარვაზე დადგენილ კანონდ... სებულებისა. ადგილობრივ დაწესებულ...

---

ქისტის კოლოფი, რომელშიაც ადამისწლის ხიზალალა ჰქონდა, ... დაჭკნარი და დაობებული. სომეხი მეორე ოთახში გაყვა კონდუქტორს, მსუქანმა მგზავრმა თავის ყუთებს და ბოხჩებს მოხსნა თავი და ამოაწყო მთელი მაგაზია სხვა და სხვა ნაირი პურების, საჭმელების და სასმელებისა, ლორი, სარდინკები, შამაია, თეთრი პური, კუპატი, შემწვარი ყვერული, დოგვი, მჟავე კიტრი, რომი, ერთი სიტყვით თითქმის ყოველისფერი, რასაც კაცის გული კი ისურვებს გზაში.

— იქნება ეს ლორი მიირთვათ...ან, თუ მარხვას ინახავთ, იქნება თევზი ინებოთ. აი ეს მშვენიერი ხიზილალა—სულ ახალია, პატიოსნებას გეფიცები, თითებს დაიკვნეტთ....ან და იქნება ჩადებული სოკო მოგეწონოსთ—უცხო რამეა...გთხოვთ ინებოთ, დამაძალეთ...ამ სიტყვების შუა, მისი დანა ჩანგალი ხან ერთ საჭმელს მისწვდებოდა და ხან მეორეს. ჯერ პირი თევზით ჰქონდა კიდევ სავსე, როცა მისი ჩანგალი ლორის ჩამონათალს დაეტაკებოდა, და ლორი რომ სუფრისა და პირის შუა გზაზე გეგონათ, დანა შვეიცარიის ყველს სჭრიდა. ამასთანავე წარმოიდგინეთ ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიტყვები, „მშვენიერი რამეა," „საუცხოვოა", „ინებეთ გეთაყვა,"—წარმოიდგინეთ გაოფლიანებული შუბლი და მელოტი თავი, და მაშინ ადვილათ დარწმუნდებით, რომ მის შემხედავ კაცს, კამბეჩის მადაც რომ ქონოდეს, მაინც კი სრულიად დაეკარგებოდა საჭმელის სურვილი.

ამ სამხრის მერმე ჩემი ნასუქი მგზავრი ჩაის სმას მისდგა, და—ღმერთმა დიდი მისის ძუძუსავით შეარგოს,—იმ დალოცვილს არც ჩაისთვის დაუკლაა ხელი. ჩაის სმა, მოგეხსენებათ, უმუსაიფოთ რა სახეიროა? როგორც კი მეორე ჭიქა დაისხა, იმან მაშინვე ცოტათი უკან დასწია თავისი სკამი, მის ზურგს გარდაწვა, ფეხი-ფეხზე დიდი გაჭირვებით შემოიდვა, მერე დარწმუნდა, რომ სწორეთ ჯდომა სჯობსო, ფეხები ისევ უწინდელივით გალაჯა, ორიოდ სამი გაიზმორა, და ბოლოს მე მომიბრუნდა:

— წელან რომ მოგახსენეთ პოლშაში ვემსახურებოდი მეთქი,—მართალი უნდა გითხრათ, რომ იქ ყოველისფერი კარგია, ჩაის მეტი...ჩაი იქ საძაგელია, ზეციურ ღმერთს გეფიცებით....ჩაის გარდა იქ საძაგელი რამეა—ურიები...თქვენ ხომ გაგიგონიათ მათი ამბავი?

იქ მთელი მხარის ვაჭრობა მათ ხელშია; უიმათოთ კაცი იქ ვერც გამდიდრდება, და ვერც ვერაფერს იშოვნის—ღმერთმანი! რაც პოლშაში ფულია სულ იმ ოხრების ზანდუკებშია ჩაგროვებული. მაგიერათ კი ხანდისხან, ისინიც ჩავარდნია ჩვენ ხელში, და ნაქესთ სიცოცხლე ჩვენ ..... ისე გაგვიხდია ხოლმე მათი ჯიბეები, რომ თაგვების ხვრელებს დამგზავსებიან...

-- მართლა ბრძანებთ?

— იმე, რა ბრძანებაა: რა ჩემი თავის მტერი მე ვიქნებოდი, რომ მათთვის რამე მეპატივებია...ღმერთო შემცოდე, მარტო ისინი კიარა, სხვებიც ბევრი ამიწვილებია,—ფრანგი და ქრისტეანიც,—კაციც და ქალიც...

— მგონი უფრო ქალები,—ჩაუწვეთა ყურში დამჭკნარმა მასწავლებელმა, და ზედ უშნო ხარხარი დაატანა...

რაკი ეს საგანი გაახსენეს, ამ ჩვენ სუქან მგზავრს სიტყვას ვინღა მოუჭრიდა? მე ისევ საგნის გამოცვლა ვამჯობინე და მისი სამსახურიდან გამოსვლაზე კითხვა დაუწყე—

— რათ მივატოვე? მიპასუხა იმან, რათ მივატოვე, ჩემო ბატონო და, იმიტომ, რომ ეხლანდელი დროს კაცი არა ვარ...რავქნათ, კაცი ხომ მუდამ ყმაწვილი არ იქმნება, ერთიც დრო მოვა, უნდა დაბერდეს!...ამ სიტყვებს ისეთი ღიმილი მოსდევდა, თითქო უნდა ეთქვა—აბა შემხედე, ბებერს რა მიგავს შენი ჭირიმეო!

— ჰო!.. ახალი წესების მიზეზით...დაუმატა დამჭკნარმა მასწავლებელმა...

— დიახ, ახალი წესების მიზეზით... ამ უკანასკნელ დროში მე თვითან რუსეთის გუბერნიებში ვმსახურებდი. იქ ჩემდა საუბედუროთ, რაღაცა „ცვლილებაები" შემოიღეს, რეფორმა ვარო, სუდები, ზემსტვო, მე ძველ კაცად მიცნეს (აი, იმ მაღალ ღმერთს გეფიცებით მართლა ვამბობ) და სამსახურიდან დამითხოვეს...

ამ დროს ჩვენ კარეტაში მიგვიწვიეს, რადგანც წამოსვლის დრო იყო. მსუქან მგზავრს თავისი სამსახურიდან დათხოვაც დაავიწყდა, და ახალი წესებიც: იმან თავის საგძლის ჩალაგებას მიჰყო ხელი, დიდის მოწიწებით შეხვია ქაღალდში საჭმელ-სასმელი, ჩააწყო თავიანთ ადგილს, აიკიდა ბოღჩები და კოლოფები ზოგი მკლავებზე, ზოგი მხარზე, ზოგი იღლიაებში ამოიდო, ზოგიც ხელში დაიჭირა, და ამ გვარათ დატვირთული გამოვიდა გარეთ, სადაც ცხენებ შებმული კარეტა ვეიცდიდა.

ყვირილას რომ გამოვეცილდით, გვარიანათ დაბინდებული იყო,—მართალი რომ ვთ... დაღამებასაც კი ჰგავდა; გზაში, სად... დროს, თუნდც რომ ძალიანაც გვიან არ იყ... კაცს მაინც ყვინთი ეკიდება, და ამის გ... ჩვენ კუთხეებში ზოგმა ფიქრი დავიწყეთ, ... ზოგმა ხვრინვა.

ორი საათის შემდგომ ჩვენ მივედით ერთ... ტარა სტანციაზე, ყვირილის და ხარაგაუ... შუა. მაშინ ღამის თერთმეტი საათი იქნებ... და, მთვარის ამოსვლის დრო ჯერ არ იყ... და ისეთი სიბნელე იდგა, რომ კაცი თვალ... თითს ვერ იკრავდა, მით უმეტესად, რომ ჩ... ორივე მხრიდან მაღალი მთები გვქონდა ა... ფარებული. სტანციის უფროსმა გამოუც... ჩვენ გამყოლს, რომ მინამ მთვარე არ ა... ვაო, თქვენი გაშვება არ შემიძლიაო,—ც... გზაა, ტალახიანიო და მეშინია სადმე ორ... ში არ გადამიყაროთ ცხენებიო. გამყო... დაიჟინა, რომ გზა მე უფრო კარგათ ვი... გუშინწინ რომ გამოვიარე, მაშინ უარესი... ლახი იყო, მაგრამ არა დამშავებია რაო. მეხმა გამყოლს დაემოწმა, მასწავლებელი... რეტაში გაყუჩდა, ამ ჩვენმა სუქანმა მგზ... მა კი დაიჟინა, რომ არამც და არამც აქ... წასვლა არ შეიძლებაო... როგორც იყო... მე მოვრიგდა: თურმე სტანციის უფროსს ის... ცლის გვერმა ქონდა, რომ ცხენებისთვის... მიდი არ მოეჭმია ჯერ, და იმისთვის აც... ნებდა კარეტას. ბოლოს, ოთხი საათის... დგომ, გამოგვიყვანეს ცხენები, შეგვიბ... დევაც, წასვლას დავადექით, მივიხედ მო... დეთ, მაგრამ ეს ჩვენი ნასუქი მგზავრი ... იდ სჩანდა. დავიწყეთ ძებნა, ძახილი, ... მოხედვა, და ბოლოს . . . გამოვეძებნე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

...მისმა ასრულებამ ხელმწიფისაგან ალა-... ლიფლანდია, ხელმწიფის სადიდებელათ ...ხალხის საკეთილდღეოთ. რამდენათაც წეს-...ის სწორათ ასრულება საჭიროა ქვე-...ს ზნეობითი და ნივთიერი კეთილდღეო-...სათვის, ეგოდნათ წესდებულების დარღვევით ...დაეცემოდა ზნეობითად და ნივთიე-...ლოვნისძიებით: მარტო საკუთარი თავის ...ვა კი არ აიძულებს ლიფლანდიის აზნა-...ურობას გულდიათ და გულდანდობით წარუ-...ინოს თქვენს დიდებულებას საქმის გარე-...ება. ჩვენ ამაზე გვაიძულებს ის გულ-...ვარი დარწმუნება, რომ თავისებური ცხოვ-...ებით და წარმატებით ლიფლანდია მოსცემს ...ილს სარგებლობას მთელ სახელმწიფოს ...იმისთვის ბევრათ უფრო დიდი მნიშვნელო-... ექნება, ვინამც იმითი, რომ ეს ქვეყანა რო-...რც უბრალო მიწაწყალი ისე შეერთდეს ...მთელს იმპერიასთან.

...ღრმათ შეწუხებული და გულმაგრათ დარ-...უნებული თქვენი დიდებულების ჭეშმარი-...ტ მამობრივს მოწყალებაზე, ლიფლანდიის ...ნაურობა ჰბედავს მოიქცეს თქვენთან ერთ-...ულ ქვეშევრდომობითი თხოვნითა: კვ-...ლ ინებეთ თქვენო იმპერატორებითი დი-...დებულებავ ყოვლად უმოწყალესად ისევ ...დგინეთ ლიფლანდიის უფლება. უფალ-... ღმერთმა, რომელიც წინ უძღვის მეფეთა ...ულის თქმას და ერთა ბედს, კურთხეულ ...ყოს და მოგანიჭოსთ დღეგრძელობა, ...თქვენო დიდებულებავ, ქვეყნის საკეთილ-...დღეოთ.

...ერთგული ქვეშევრდომი თქვენის იმპერა-...ტორებითის დიდებულებისა ლიფლანდიის აზ-...ნაურობა და მისი სახელით (ხელმოწერილია)

...ა, 8 თებ. 1870წ. | აზნაურობის წინამძღოლი გუსტავი ბარონ ფონ-ნოლკენ
ლანდრატი ერნსტ ბარონ ფონ კამპენჰაუზენ.

...ხელმწიფე იმპერატორს კეთილ-ენება 25 ...ულ თებერვალს მისს იმპერატორებითი ...დიდებულების წინაშე წარდგენილ ქვეშევრ-...დომობით თხოვნაზე, საკუთარი ხელით დაეწერა შემდეგი გადაწყვეტილება: რადგან საზოგადო და ადგილობრივი კანონები მიიღებენ ძალას ერთად ერთი უფლებისაგან, რომელიც თვით მპყრობელია, ამისთვის სრულებით უარი ეთქვას ლიფლანდიის აზნაურობას თავის თხოვნაზე-მით უფრო, რომ ის არ ეთანხმება თვითონ შესაველს ადგილობრივ დაწესებულებათა კრებაში.

# პოლიტიკა.

## საფრანგეთი.

— ამბობენ, რომ პიერ ბონაპარტეს საქმეში ოცდა თექვსმეტი ნაფიცი მსაჯულიდგან თერამეტს მისი გამტყუნება უნდოდათ, და თვრამეტს—გამართლებაო. კანონით, ნაფიცების ხმა რომ შუაზე გაიყოფა, ეს გამართლების ნიშანია.

— სახელმწიფო წესდებულების შეცვლა, საფრანგეთში, ხალხის დაუკითხავათ არ უნდა მოხდესო, დაწესებულია კანონით; ამის გამო 1-ს ან 8 მომავალ მაისს, (ჩვენებური თვლით 19 ან 26 აპრილს) მოხდება მთელ საფრანგეთში კენჭის ყრა, (პლებისციტი), რომელმაც უნდა გარდაწყვიტოს თანხმაა თუ არა საფრანგეთის ხალხი სახელმწიფო წესდებულებაში ზოგიერთი ცვლილების მოხდენაზე. ეს ცვლილება ამაში მდგომარეობს, რომ ნაპოლეონი ხელს იღებს ზოგიერთ თავის უპირატესობაებზე, და ხალხის დეპუტატების კრებას უბრუნებს იმ სიმართლეებს, რომელიც იმას ნაპოლეონის ტახტზე შესვლამდი ეკუთვნოდა.

— პიერ ბონაპარტეს საქმის განხილვის დროს, დაბარებული იყო როგორც მცოდნე კაცი პარიჟის საექიმო სასწავლებელის გამოჩენილი პროფესსორი—ტარდიე, რომელმაც აჩვენა ბონაპარტეს სასარგებლოთ. საექიმო სასწავლებელის მსმენელებმა, როცა ტარდიე ამის შემდგომ სასწავლებელში მოვიდა, დაუწყეს კივილი, და მოუშალეს ლექციის წაკითხვა. პროფესსორს უნდოდა მსმენელებისთვის შეეგონებინა, რომ იმან სინიდისის თანხმათ აჩვენა სასამართლოს წინ, მაგრამ მსმენელებმა უკივლეს:—„წადი ტუილრიის სასახლეში! (სადაც ნაპოლეონი სცხოვრობს), შე დაქრთამულო!“ ეს არეულობა ოთხჯერ მოხდა ზედის-ზედ; ამ მიზეზით საექიმო სასწავლებელი ერთი თვის ვადით დაკეტეს.—ეხლა სახალხო განათლების მინისტრმა გამოაცხადა კანონმდებელ კრებაში, რომ თუ კიდევ ხელ ახლა რამე არეულობა მოხდა, სასწავლებელს სულ დავხურავო.

— კრეზოში ხელ ახლავ შეჩერდა მუშაობა. როგორც უკანასკნელ გაზეთებიდან სჩანს, მუშები ქირის მომატებას თხოულობენ; ამ საგანზე იმათ პატრონებთან მოლაპარაკება აქვთ. ამ შემთხვევაში უმეტესი მონაწილეობა თურმე ქალებს მიუღიათ: ისინი ამხნევებდენ და აქეზებდენ მუშებს და თან მუშაობას უშლიდენ ზოგიერთებს, რომელთაც მუშაობისთვის თავი არ დაენებებინათ. კრეზოში ჯარია გაგზავნილი.

— პარიჟის კედლებზე აუკრავთ გამოცხადებაები, რომელშიაც ამბობენ, რომ თუ მმართებლობამ ათ აპრილამდი ჯარი არ დაითხოვა, სახელმწიფო გარდასახადი არ შეამცირა და საქონლის სამძღვარ გარედან შემოსატანი ბაჟი არ მოსპო, მუშები თავიანთ გარდასახადს აღარ შეიტანებენო, და როგორც პარიჟში ეგრეთვე მთელ საფრანგეთში შეაჩერებენ მუშაობასო.

## იტალია.

— ზოგიერთ ქალაქებში მოხდა არეულობაები, მართებლობის წინააღმდეგ.—ამ არეულობაებმა მმართებლობა უფრო მეტათ იმით შეაწუხეს, რომ შიგ ბევრი სამხედრო მოსამსახურეებია გარეული. მარტო პიაჩენცაში, სხვა დაჭერილებ შუა ურევია 16 სერჟანტი, 3 კაპრალი და ერთი სალდათი.

## ესპანია.

— ბარცელონაში რეკრუტების შეკრეფის დროს მოხდა არეულობა, რომელშიაც ოციოდე კაცამდი დაიხოცა, როგორც ხალხის მხრით, ეგრეთვე ჯარიდანაც. ჯარმა თურმე ადვილათ გაიმარჯვა. ესპანიის მმართებლობა აცხადებს, რომ სალამანკის „და ზოგიერთი სხვა ადგილების გარდა“ რეკრუტების შეკრება, მშვიდობიანათ გათავდაო. ბარცელონაში არეულობა რამდენიმე დღე გაგრძელებულა.

— ჰერცოგ მონპანსიეს, ენრ[illegible]-ნის დუელში მოკვლისთვის, სასამართლომ გარდაუწყვიტა ერთი თვის დატუსაღება, ოცდა-ათი ათასი პიასტრის (ორმოც ათას მანეთზე ცოტათი მეტის) გარდახდა და მადრიდიდან გადენა.

— ესპანიის—ნაკოროლევი იზაბელლა თავის ქმარს სამუდამოთ გაეყარა. მისს ნაქმრევს მიეცემა წელიწადში ორასი ათასი ფრანკი (ორმოცდა ათი ათასი მანეთი). გაზეთებში სწერენ, რომ ნაპოლეონი და მისი მეუღლე 17 მარტს სამძიმრის სათქმელათ მივიდენ იზაბელლასთანო.

## ავსტრია.

— მინისტრებმა სამსახურიდან დათხოვა სთხოვეს იმპერატორს, ამიტომ რომ იმან მათი სურვილი არ აასრულა, და არ დაითხოვა ზოგიერთი პროვინციის კრებაები. იმპერატორმა მათი თხოვნა მიიღო, და სამინისტროს შედგენა პოტოცკის მიანდო. ამ უკანასკნელს, როგორც ამბობენ, სურს ცოტათი მაინც დააკმაყოფილოს ავსტრიის ქვეშევრდომი ხალხები, რომელნიც თავიანთ თავს დაჩაგრულათ სთვლიან და ცდილობენ ვენგრიასავით სიმართლეების შეძენას.—ყველაზე უფრო ამ განზრახვაზე ჩეხები და გალიციელ პოლშელები ადგიან. ამ ახალი სამინისტროს დანიშვნით ძალიან შეწუხებულია ავსტრიაში ნემეცური პარტია, რომელსაც სურს ყველა ავსტრიის ხალხები ხელ ქვეითად გაუხადოს ავსტრიელ ნემცებს.

## ინგლიზი.

— პარლამენტში შეტანილია კანონის პროექტი, ქალებს ამორჩევის კენჭი უნდა მიეცესო. ამ დღეებში ამ პროექტზე აზრის გამოსათქმელათ შედგა პლიმუტს დიდი შეკრებილება, რომელმაც გარდაწყვიტა, რომ უსამართლობა და უგნურებაა მარტო ერთი სქესისთვის კენჭის მიცემაო.

## ამერიკის შეერთებული შტატები.

— ახალმა სენატორმა, ნეგრმა რეველსმა 4 მარტს ამერიკის სენატში თავისი პირველი

---

...ურმე ცეცხლის პირს, იამშჩიკის ტახტზე და-...ძინებოდა.

...მყოლმა ის დიდი გაჭირებით გამოაფხიზ-...ა და შეატყობინა—მივდივართო. ეს ამბა-... რომ შეიტყო, შეხტა და შემოტრი-...ლდა: რა დროს წასვლაა, თქვე დალოცვი-...ლებო, დაიწყო იმან ბუზღუნი, ეხლა გა-...ივებულ კაცის მეტი ვინ წავა ამ გზებზეო, ...მე ვერ წამოვალ,—გამოუშვით ცხენებიო... ...ნაირი ლაპარაკით რომ არა გაუვიდა რა, ...წნა დაუწყო გამყოლს, დილამდი დარჩიო;—...ცა ვერც ამითი გაარიგა საქმე, დაუწყო ...ილი—ჩემი ფულები მომეცით და თქვენ ...დამდინაც გზა გქონიათო. უნდა დაგე-...ხათ მაშინ მისი შეშინებული პირის სახე, ...ხმისა და სახის წამისწამ შეცვლა, მა-... ვედრება, ყვირილი და წყრომა!...—დას-...ყველოს ღმერთმა, რა ხათაბალას გადავეკი-...დეთ, თქვა ჩვენმა მგზავრმა სომეხმა, ძალიან ...მე ჭირვეული ვინმე ყოფილა! მერე გაჯავრე-...ული ხმით დაუძახა,—პაიდომ, პოლაკ, სადი-...ო, თან კლავში ხელი მოჰკიდა, თითქო კა-...ებში ასვლას ეხმარებოდა, მერე თვითო-...ც თავის ალაგზე გამყოლს გვერდით დაჯ-...და. ქარეტამ იმ წამსვე გასწია.—

...მეორე დღეს ხარაგაულში მთელი დღე სა-...ამდი ვიდექით: გზაზე რაღაც ხიდი ჩანგ-...ეულიყო, და მის გაკეთებამდი გზა შეეკრათ. ...საქმო კაცი ფეხში მახათს იყრიდაო, ნათქ-...ამია; ჩვენ მახათის გაყრის მაგიერათ მუსაი-...ი ჩამოვაგდეთ ჩვენი ჩასუქებული მგზავრის ...მსახურზე.

— დიახ, მოჰყვა იმან, ეხლა დავბერდი... ...რო იყო, სასარგებლოც ვიყავი, მაშინ ახალგაზდათ მივაჩნდი ყველას, ეხლა—თურმე მოვხუცებულვარ... რა გაეწყობა... ჩემს გარდა სხვასაც ბევრს დამართნია ეს საქმე,—ღვთის ნებაა... მაგრამ თუ ქრისტე ღმერთი გწამთ მითხარით, რითი ვარ მე ძველი კაცი, რითი მჯობიან ის ახალი კაცები...

— აქ მართლა ხნიერებას კი არ უყურებენ ეუთხარი მე, იქნებათქვენში ახალი სული, ახალი წესიერების ცოდნა ვერ ჰპოვეს...

— მოითმინეთ, ახალი სული რაა? ერთი ამიხსენით და! . . . . დამანახეთ, მეც ჩავიდგა. რა ექნა: აგერ ორი წელიწადია, რაც უსაქმოთ დავდივარ, და დღევანდელი ზიარების მადლს გეფიცებით ახალი კაცების კოჭებში ცქერის მეტი არა მიქნია რა—მაგრამ დღესაც არ ვიცი ეგ რა სულია. მათი ახალი სული. მეც ხომ სულ გადაყრუებული კაცი არა ვარ, მეც მინახავს ქვეყანა, ხალხი, ბევრი ჭკვიანი კაცების ხელში ვყოფილვარ, ბევრი უტვინოებიც მყოლია ხელში,—მაშ მეც შემიძლია კაცების გარჩევა. ერთი მიბრძანეთ რაა ეს ახალი სული? ახალი კანონი გამოვიდა—კაი და კეთილი—მაგრამ რა ძნელია კანონის ასრულება? თუ ისინი აასრულებენ, მე რა ვარ, რომ ვერ ავასრულო! მართალია, მე არსად მისწავლია, მაგრამ ამ ჩემ სიცოცხლეში ჯერ სუდში ვმსახურებდი, და უფროსების მადლობა დავიმსახურე, მერმე დამნიშნეს პოლიციაში, და იქაც არა წამიხდენია რა, შემდგომში ტმოჟნის ნაწილში გარდამიყვანეს, სამძღვარზე, და ხუთჯერ ექვსჯერ მთავრობის მადლობას და ჯილდოს ვეღირსე, მის მერმე . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

ამ ბოლოს დროს აქციზის ნაწილში ვიყავი, და იქაც უმანკოთ და ღირსებით ვასრულებდი ჩემ თანამდებობას. მაშ თუ ამდენ ნაწილში შემეძლო უსწავლელათ კანონის გაგება და ასრულება, საქმის კარგათ წაყვანა, ეხლა რათ არ შემიძლია ახალი კანონების ხმარება? კარგი, ვთქვათ სამსახურისთვის არ ვარგვარ საზოგადოებაში პატივის ცემას რაღათ მიკარგვენ? ეხლა რომ ადვოკატები ჰყავთ გააზიზებული და კარგათ მიღებული იმაზე ნაკლები რითი ვარ მე? ამბობენ—ეს მე ხშირათ გამიგონია—რომ იმათ რაღაცა „უბეჟდენიე“ აქვთო. არ ვიცი რაა ეს უბეჟდენიე, მაგრამ მე რომ მათ მოქმედებას ვუყურებ, იმათ ნაირი უბეჟდენიე მეცა მაქვს—ღმერთმანი! რა ექნა, ამ საქმეების სჯაში და დაცვაში მათი უბეჟდენიე კანონის მუხლებია,—ღმერთმა და ხატს ვფიცავ, რომ მეც მაგ მუხლებს ვხმარობდი ხოლმე; ამბობენ, ახალ საქმეებში პატიოსნება, თავის დაფასებაა საჭიროო. კარგი და კეთილი, მაგრამ განა ჩვენ უპატიოსნო ვიყავით? განა ჩვენ ჩვენ თავს არ ვაფასებდით?.. ვითომ ხანდისხან რომ კაცობრიულ სისუსტეს ვემონებოდით, იმითი დავკარგეთ პატიოსნება?—აგრე თუა, ეხლანდელი „ადვოკატებიც“ სისუსტის მონები არიან: ისინი, როგორც ჩვენა, ხან მეგობრის ხათრს ვერ სტეხენ, ხან ნაცნობისას; ისინიც ზოგი ცოლის ქნის ამსრულებელია და ზოგი საყვარლისა. უფროსის წინ ეგენიც ჩვენსავით მოწიწებით დგანან, და ჩვენსავითვე იმართებიან წელში მთხოვნელის წინა, როცა საქმის დაცვას ევედრებიან.

თუ იტყვით ეგენი ძველებს უანგაროებით სჯობიანო, რა ექნა, მაგათ კბილები არა აქვთ? მაშ ჭამა მაგათაც ეცოდინებათ. კაცს რჩენა და მაშასადამე ჩამორჩენაც ყოველგან და ყოველთვის სჭირია. განსხვავება იმაშია, რომ ზოგი ადვოკატი თითო მარცვლებით იღებს, და ზოგი კოდობითაც, ზოგი მთხოვნელს აწრიპინებს, ზოგი კი ისე იჭერს საქმის, რომ იმას კიდევაც ეხვეწებიან: შენი ჭირიმე მიირთვიო... იმასაც ნუ დავივიწყებთ რომ მარტო ფულში ხომ არ მდგომარეობს ანგარობა: ადვოკატი იქნება ხან პურისთვის გადაუდგეს სულსა, ხან ლამაზ თვალებისთვის... ხე-ხე-ხე-ხე!... დამიჯერეთ, ამ საგნებში, ესენიც ჩვენისთანაებია.—მაგათ ყოფა ქცევას მე რომ ვუყურებ, მამაშვილური სიყვარული მეღვიძება გულში, და რომ ერთობ ცხვირს არ მიბზუებდენ, გულში ჩავიკრავდი და გრძნობით აღვსილი ვეტყოდი: თქვენ ხართ ძვალნი ძვალთა ჩემთაგან!...

— უკაცრავათ, სიტყვა გაგაწყვეტინეთ, მაგრამ არ შემიძლიან არ მოგახსენოთ, რომ ადვოკატების მოვალეობა მოითხოვს ყოველივე საქმეების დაცვას, ხოლო იმათი გადაწყვეტა ეკუთვნის მოსამართლეებს—წარმოსთქვა ღრმათ ჩაფიქრებულმა მასწავლებელმა.

‡

სიტყვა თქვა, რომელიც თურმე ძალიან მოეწონა მის დაუთვალავ მსმენელებს: მჭევრმეტყველობაში ის სხვა სენატორებს უკან არ ჩამოუდგებაო, ამბობენ.

— ამერიკის კონგრესს ერთმა მწევრმა წინადადება მისცა, რომ მშვიდობიან ინდიელებს (ამერიკის თავდაპირველ მცხოვრებს) მიეცეს შეერთებული შტატების მოქალაქობის სიმართლე, და მათი ქვეყანა იმავე წესზე გაეწყოს, როგორითაც შეერთებული შტატების დანარჩენი ადგილები იმართებიან. ეს წინადადება კონგრესმა თავის იურიდიკულ განყოფილებას გარდასცა გასაშინჯავათ.

## ОСМАЛЕТИ.

## ოსმალეთი.

—პაპის მორჩილებიდან რომ ზოგიერთი სომხები გამოვიდენ, იმათ სტამბოლში დიდმა ვეზირმა ცალკე კანცელარია გაუმართა, და ცალკე ბეჭდი მისცა. ამითი იმან იცნო ეს ახალი ეკკლესია. საეკლესიო წესის ასასრულებლათ იმათ მისცეს ორი ტაძარი. ხმაა, სომხებს ჰასსუნის მაგიერათ მეორე პატრიარქის ამორჩევა უნდათო.

— სომხეთის მმართებელს (ოსმალეთში) ორმოცი ქურთი დაუჭერია, რომელნიც უნდა დაისაჯონ სახელმწიფო ღალატის და აშკარა არეულობის მოხდენისათვის. ამ ნახევარი წლის წინეთ, ქურთებს თურმე სათათრეთიდან განთავისუფლება მოენდომებიათ და არეულობისთვის დროს უცდიდენ. მმართებლობამ გაუგო მათი განძრახვა, მაგრამ ქურთები მაინც აირიენ, სომხების სოფლების და მონასტრების ცარცვა დაიწყეს. ქრისტიანებს ამაზე გული მოუვიდათ, და თათრებს დაეხმარენ ქურთების დამორჩილებაში.

---

პიერ ბონაპარტეს პროცესი. განვაგრძელებთ პიერ ბონაპარტეს გასამართლების საქმესა. მარტის 22-სა უმაღლესი სასამართლოს მეორე სხდომაშიმოწმებსა ჰკითხავდნენ, როგორც წინა დღეს. მილიერმა (52 წლისა), „მარსელიეზას“ პასუხის მგებელ რედაქტორმა, სთქვა, რომ პიერ ბონაპარტეს წერილის მიღების შემდეგ, როშფორმა მილიერი და არტურ არნუ სეკუნდანტათ გაგზავნა პიერ ბონაპარტესთან, დუელის პირობაზე მოსალაპარაკებლათ. ოტეილის სასახლეში რომ მოვიდნენ, შეიტყეს რომ ვიქტორ ნუარი მოუკლავს ბონაპარტესა. ვიქტორ ნუარი და ფონვიელი პასკალ გრუსსეს ჩვენსავე სეკუნდანტათ გაეგზავნა. პიერ ბონაპარტეს სასახლესთან ორმა ჩვენმა მცნობმა შემოგვძახეს: „არ შეხვიდეთ, აქ კაცებსა ხოცხვენ!“ როგორ თუ ხოცვენ მეთქი, დავიძახე დროშკიდამ გამოხტომაში. პირველათ ვიფიქრე, უბედური დუელი მომხდარა და დუელში ვიქტორ ნუარი შემოჰკდომია მეთქი. მაგისთვის უფრო საჭიროა შიგნით შესვლა მეთქი, და პოლიციის ორ მოხელესა ვთხოვე, კომისართან გამომყოლოდნენ. მოხელეებმა მიპასუხეს, რომ კომმისარი იყო კიდეცა და წავიდაო. მასუკან მოვიხმე იქ მაყურებელი ხალხი, რომელიც ახალ დაწყებულ შენობაზე იდგა. დიახ, როდესაც შევიტყე, რომ კაცის მკვლელი შინ მშვიდობიანათ იჯდა, როგორც სასამართლო მიხვდება, მე გრძნობა რისხვით ამერია, ამას ყველა პატიოსანი კაცი შეიტყობს. ვცდილობდი ხალხი შემომეჯერებინა, რომ კარი გამოეგლიჯათ და პრინცი დაეჭირათ. მაგრამ მომატებით დედა-კაცებით ნარევმა ხალხმა არამც თუ ჩემი გაიგონა, ძალით არც კი გამიშვა შინ შევსულიყავი. როდესაც დავრწმუნდით, რომ პოლიცია თავს არიდებს, მე და არტურ არნუ კანონმდებელ კორპუსში წავედით როშფორისათვის ამბავი გვეცოდინებინა.—პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი. თქვენ შეიარაღებული იყავით, თან გატენილი დამბაჩა გქონდათ?—მ ი ლ ი ე რ ი. ეს იყო თავის დასაცველი იარაღი, ისე პატარა დამბაჩა, რომ კაცს ძნელათ ვერ დაჰკოდავს.—პ რ ი ნ ც ი. თავის დასაცველი იარაღი კირასი და ჩაჩქანია (მოძრაობაა). იმედი მაქვს, უფალნი ნაფიცნი ღირსეულათ დააფასებენ ამ სალმონისა და ფონვიელის მეგობრის ჩვენებასა. აი ამან და ვილაც არნუმ, მე რომ სატუსაღოში ვიჯექი, დაბეჭდეს, თავის „მარსელიეზაში“ ცეტური მატლაკვეცობა, რომ უმაღლესი სასამართლოს გარდაწყვეტილება როგორიც უნდა იყოსო, ბონაპარტე ხელიდამ ცოცხალი მაინც ვერ გადავგრჩებაო.-ა ნ რ ი შ ა ბ რ ი ლ ი ა რ მა „ფიგაროს“ თანამშრომელმა, აჩვენა, რომ იანვრის 9-ს, ამბის წინა დღეს, შეხვდა თავის მცნობ ვიქტორ ნუარსა; თითქმის ერთი თვის უნახავები იყვნენ, და ვიქტორ ნუარს გაეხარდა იმისი ნახვა. იმან უთხრა: „იცი ხვალ რა მომელის?“—აბა რა?—„ისა რომ მე, ვიქტორ ნუარი, ბონაპარტესთან მივდივარ. გრუსსეს სეკუნდანტი ვარ.“ ეს სიტყვები სიცილით წარმოსთქვა; იმ ჟამათ ესეები ჯერ ისევ ამხიარულებდნენ. ლაპარაკის დროს ერთი სიტყვა იხმარა; თუმცა ბაზრულია, აქ გავიმეორებ: „მართალი არ არის, რომ ჩემთვის ეს შიკოზურია?“ მაშასადამე მე შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ იმის ყოფაქცევაში და შეხედულობაში არა სჩანდა მძლავრობის განზრახვა. მე უთხარი, რომ თუ ნებას მამცემ, „ფიგაროში“ დავწერ მეთქი. —არაო, ეს არ უნდა დაიბეჭდოს, რადგანაც როშფორს ამ დუელის მოხდენა არ უნდა; ხმა რომ გავარდება, დუელი უეჭველათ მოსახდენი შეიქნებაო.

პარიჟის ექიმმა, დოქტორ პ ი ნ ე ლ მ ა, დაამტკიცა, რომ პრინცს ყურს უკან თავის ქვედა ნაწილში დაკრულის ნიშანი ეტყობოდა. პრეზიდენტი გაჰკვირდა, რომ მაგ ადგილას მუშტის შემორტყმა შეიძლებაო, მაგრამ ეს სილა არ იქნებაო.—პრინცმა პრეზიდენტის კითხვაზე ისევ წინათ თქმული გაიმეორა, რომ მარცხენა ლოყაში გამარტყა სილაო.—დოქტორმა პინელმა დაუმატა, რომ საჩქაროთ გაშინჯვაში დაკვრის ნიშანი იქნება კარგათ ვერ გავშინჯეო.—დოქტორ მ ო რ ე ლ ი, (პრინცის შინაური ექიმია, 61 წლისა; ხალხში სიცილი ასტყდა იმის მიხვრა-მოხვრაზე და ლაპარაკზე.) ზაცივებით ავათმყოფობისა გამოთ მორელი პრინცთან დადიოდა; ამბავი რომ მოხდა პრინცთან მივიდა და ძალიან შეშფოთებული ნახა. პრინცმა მიამბო თუ არა თავ გადასავალი, მკითხა: „თქვენ ამისთანა შემთხვევაში რას იქმოდითო.“ მე ვუპასუხე: თქვენ ხომ მოგეხსენებათ ჩემი ხასიათი; თქვენს ადგილას ორთავეს მოკლავდი, (ხანგრძლივი სიცილია). ამ დროს პრინცს, ლოყაზე დაუნახე სიწითლე და უთხარი: „თქვენო უმაღლესობავ, თქვენთვის ყბაში დაუკრავთ„ მეთქი. დაკვრის ნიშანი ცხადი იყო, სამ ფრანკიანი ოქროს სიგანე იქნებოდა (ხელ-ახლათ სიცილი ასტყდა, რადგანაც ამ გვარი მანეთი არ არის). მე ვიცი რომ ხელის გული უფრო განიერია. პრინცმა მითხრა რომ იმას მარცხენა ლოყაში დაარტყა ერთმა იმ ორ მოსულ უმცნობებისაგან. რამდენსამე წამის შემდეგ მითხრა: მგონია ქუჩაში ყვირიან, რომ ერთი მომკვდარაო. ეს მიკვირს, რადგან თავისთავათ კიბეზე ჩავიდა. დოქტორო, ერთი ქვემოთ ჩადით, და სანამ ჩემთვის იზრუნოთ მიხედეთ: თუ მოკვდა იქნება რამე შემწეობა დასჭირდესო—(სიცილი).

პარიჟის საექიმო შკოლის პროფესსორი ტ ა რ დ ი ე, რომ გამოჩნდა, სასამართლოში მოძრაობა შეიქნა. იმისგან მოელიან, რომ პინელისა და მორელის სხვა და სხვა ჩვენებას ახსნის. პირველათ ნუარის გვამის განხილვას დაწვრილებით მოთხრობს და ამბობს, რომ დაჭრილობის მეტი სხვა ნიშანი მძლავრობისა არ უნახავს. პრინცის პირისახეზე შენიშნულ სიწითლეზე და სიმსივნეზე ამბობს, რომ ძალით დაკვრისაგან უნდა წამომდგარიყოვო და არა ისე შემთხვევითო. „მე გავშინჯე ნუარს ხელზე ხომ არა ეცვა რა მაგარი, მაგრამ შავი თათმანის მეტი ვერა ვნახე რა, არც ბეჭედი, არც ოქროს ალყა; პერანგზე კი სადაფის მაგარი და მრგვალი ზაპონკები ჰქონდა. პრინცის სახეზე ნახული ნიშნები ამაებით უნდა აიხსნას.“—ლ ო რ ი ე (ვიქტორ ნუარის დედმამისა და ძმის ლუი ნუარის სამოქალაქო ადვოკატი). ხელზე რო თათმანი ეცვა ხომ შეკრული და მრთელი იყო?—ტ ა რ დ ი ე. დიახ კარგა შეკრული იყო და მრთელი.

პოლიციის აგენტმა ბ ი უ ს ს ი ე რ მ ა აჩვენა, რომ ისა და ფონვიელი პოლიციას რომ მიდიოდნენ, გზაზედა ჰკითხა, ვიქტორ ნუარი პრინცმა ბონაპარტემ როგორ მოჰკლაო. ფონვიელმა იმას უპასუხა: პრინცმა წერილის წაკითხვის შემდეგ გვკითხა: „თქვენ როშფორის მეგობრებიხართ, იმან გამოგგზავნათო?“-„არა, ჩვენ როშფორის გამოგზავნილები არა ვართო“ პასუხათ მივეცით და ნუარი პრინცს მიუახლოვდა, ხელი ასწია და თქვა: „თქვენ ფლიდი ხართ!“ ამასთან სილა შემომესმა, მაგრამ არ ვიცი ვინ შემოჰკრა პრინცმა ნუარს, თუ ნუარმა პრინცსა. პოლიციის ნაწილში ფონვიელმა ისევ ესა სთქვა მაგრამ არა გაახსენა რა სიტყვაზე „ფლიდი“, რომელიც მარტოობაში მითხრა, არც სილაზე თქვა რამე; მხოლოთ ისა თქვა, რომ ხელ ამართული მიუახლოვდა პრინცსაო. ამ გვარივე ჩვენება მისცეს პოლიციის სხვა აგენტებმა.—ქალაქის სერჟანტს ფრანჩესკის ვითომც ფონვიელის სიტყვები მოჰყავს, რომ წერილის კითხვის შემდეგ პრინცმა თქვაო, მე არც გრუსსეს ვიცნობ, არც თქვენა. საქმე როშფორთანა მაქვს და არა გრუსსესთანა. თქვენ ვინა ხართ? თქვენც ქუჩის პაჟარნები, ფარნების მინის მლეწავები ხართ?. ზულ მოსული ნუარი ხელ ამართული მიუახლოვდა პრინცსა. ამ ჩვენებასთან მოწმემ ხელი ამართა, როგორც ფონვიელს აემართა. „მე აქედამ შევიტყე, რომ ვიქტორ ნუარმა პრინცს სილა გაარტყა; ფონვიელს კი ჩემთან სიტყვა „სილა“ არ წამოუთქვამს.

ფონვიელი პირში რომ წაუყენეს პოლიციის მოხელეებსა, სთქვა: „მე არავისთვის არ მითქვამს, რომ ნუარს ბონაპარტისთვის სილა შემოეკრას; პირიქით მე ვამბობდი, რომ ჩემი მეგობარი გაუპატიურებული შეიქნა პიერ ბონაპარტისაგან; იმისაგან სილა მოხვდა და იმისაგან მოკლულ იქმნა. ჩემ ლაპარაკში, ერთ სიტყვასაც ვერ შევცვლიდი და ჭეშმარიტს ვამბობდი სვინიდისიანათ.“—პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი. მოწმები ხელის ამართვას ისე ხსნიან, რომ სილა უნდა დაერტყა თქვენს მეგობარს პრინცისათვის.—ფ ო ნ ვ ი ე ლ ი. მე მაგის მიზეზს არ ვარჩევ, მაგრე რათ ამბობენ; მაგრამ ეგ თავის უფალი ახსნაა; მე მაგას უარსა ვყოფ და ჩემს ნათქვამს ვამტკიცებ სრულის ძალითა. —პ რ ე ზ ი დ. ესენი კი ამტკიცებენ ამას, ან იქნება უნდა ვიფიქროთ რომ წინათვე თავიანთ მოწმობაში მორიგება მოუხდენიათ?.. ფ ო ნ ვ ი ე ლ ი. არა ვიცი რა მაგისი, და გავიმეორებ, რომ ხელის ამართვას ცრუთა ხსნიან.

მეორეს დღეს სასამართლოს დიდ ძალი ხალხი მოაწვა. მთელს ქალაქში ხმა გავარდა, რომ სახელ—განთქმული როშფორი, ეხლანდელი „მარსელიეზას“ რედაქტორი და კანონმდებელი კორპუსის დეპუტატი, მოწმათ მოუყვანიათო. ყველას იმისი ნახვა სურდა. სასამართლოს დასაცველათ ადრე რომ დარაჯა იყო, იმას არ დასჯერდა მთავრობა და ჟანდარმებს გარდა დრაგუნებიც დააყენეს. ხალხში სიმშვიდეა, მაგრამ მოლაპარაკენი გახურებულნი არიან ისე რომ წამიდგან წამზე მოელიან შფოთსა და სამართლის წარმოების შეწყვეტასა.

გამოსაკითხავათ შემოიყვანეს ყასაბი ლ ე შ ა ნ ტ რ ი, რომელმაც აფთიაქში გადაიტანა ნუარის გვამი. ამისი ჩვენება ფონვიე[…] სათვის კარგი არ იქნებოდა, რომ ისე გა[…] კვეველი არა ყოფილიყო, ამბობ[…] თქვა, [...] გზაზე შემომესმა ხმა: „იმან ჩემი მეგობ[…] მოჰკლა, მაგრამ კაი სილაცა ჭამაო.“ მე დ[…] წმუნებით ვერ ვიტყვი ფონვიელმა თქვა [...] სხვამ, რადგანაც ხმა უკანითგან მომესმა. ფ ო ნ ვ ი ე ლ მ ა სთქვა, რომ ამ მოწმო[…] ძალა არა აქვს: არც უნახივარ და არც ჩ[…] ხმა გაუგონიაო.—ლ ე შ ა ნ ტ რ ი. მე პირვე[…] მოწამე ვიყავი მთელი საქმისა და ვამტკ[…] რომ თქვენა თქვით. ფ ო ნ ვ ი ე ლ ი. პი[…] ლათა თქვა რომ არ იცის, ვინა თქვა ის [...] ტყვები.—ლ ე შ ა ნ ტ რ ი. აფთიაქში მისვ[…] შემდეგ ფონვიელის ლაპარაკისაგან დავ[…] მუნდი რომ ის ხმა წინათაც შემომესმა [...] ზე. აი ამიტომ დავრწმუნდი რომ ფონვიე[…] უნდა ეთქვა.—პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი. სხვა [...] წამოსთქვამდა იმ სიტყვას თქვენ გარდა.—ფ[…] ნ ვ ი ე ლ ი. მგ მე არ შემეხება და სხვის ნა[…] ქვამისათვის მე პასუხის გამცემი არა ვ[…] (გულმხურვალეთ). მე ვამტკიცებც, რომ [...] სრული სიცრუეა! (სიცილი და ხმაურობა)—პ რ[…] ზ ი დ ე ნ ტ ი. წყნარათ! სიტყვა არა სთქ[…] აქ მყოფთა ვთხოვ მოწმებს პატივი სცე[…]

გაზეთის Constitutionnel,—ის თანამშრო[…] ლმა ვ ა ხ ტ ე რ მ ა აგრეთვე ფონვიელის [...] სარგებლოთ არ აჩვენა. ერთხელ ვახტერმა [...] ხრა ფონვიელს, რომ პატიოსანს კაცს უპატ[…] რობა არ უნდა მიაყენოს კაცმა, თუნდა [...] ნაალმდეგ პარტიას ეკუთვნიდეს. ამაზე ფ[…] ნვიელმა თქვა: „ცილისწამება ისეთი [...] ლია, რომ პოლიტიკურ მტრების საწინა[…] დეგოთ კაცს მოხმარდება, ისინი ხშირათ [...] სართლოთ მოგვპყრობიანო.“

ოტეილის არხიტექტორის მ უ რ გ უ ე[…] ჩვენება შეეხება პიერ ბონაპარტისა და [...] კუნდანტების ლაპარაკსა. იმანა სთქვა, [...] ნუარის გვამის აფთიექში გადატანის დრ[…] ჩემ უცნობ კაცს, რომელიც ფონვიელი[…] ფილა, ლაპარაკი ჰქონდა გამართულ იმ ამბა[…] და მე ვკითხე რა ამბავია მეთქი? იმან მ[…] სუხა: დუელის გამოთ წერილი მიუტა[…] პრინცსა. რომ წაიკითხა ჩვენ გვითხრა: თითონ ბატონებთანა მაქვს საქმე და არა [...] მუშებთანაო. ნუარმა უთხრა: ეგ სიტყვა [...] ხსენი, მუშები რას ნიშნავს?“ პრინცმა [...] გო: ეგ თქვენ უნდა იცოდეთო. ნუარმა[…] დევ უთხრა: „ეგ ხომ მოჯამაგირეს არა ნ[…] ნავს?—„რაღა ეჭვი უნდა, შენიშნა პრინცმა. სიტყვასთან ფონვიელმა დაუმატა, რომ [...] რი პრინცს დაუახლოვდა და შემოჰკრა, დააპირა სილის შემოკვრაო.—პრეზიდ. თ[…] დარწმუნებით ვერ იტყვით, რომ ფონვიე[…] ეთქვას სილის შემორტყმა.—პ ა ს უ ხ ი. [...] ვერ ვიტყვი.

კიდევ რამდენსამე მოწამესა ჰკითხე[…] შემდეგ მეორე მხრის მოწმები შემოიყვა[…]

---

## ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ.

## განცხადება.

თფილისის უეზდს ს. მაჩხაანში ისყი[…] გაზომილი და პლან აღებული სახნავი [...] 63 დესეტინა. სოფელი თფილისიდგან [...] ვერსტზეა. ვისაც ჰსურს ამ მამულის ყ[…] იმას შეუძლიან ფასი „სასოფლო გაზე[…] რედაქციაში შეიტყოს.

---

## ბიბლიოგრაფიული განცხადება.

ისყიდება თფილისში ენფიანჯიანცის [...] ნის მაღაზიაში:

# საქართველოს ისტო[…] რია,

თეიმურაზ ბატონიშვილისა

დაბეჭდილი პეტერბურღს, 1848 წ. 18½ ბახი, 8°

ფასი ერთი მანეთი.